ანგარიში ფინანსური მდგრადობის შესახებ

2024 წლის ივნისის მდგომარეობით

„ვალდორფის პედაგოგიკის კამპუს ლისის“ სტრატეგიულ გეგმაში გათვალისწინებული ყველა აქტივობა არის ფინანსურად უზრუნველყოფილი. მიუხედავად იმისა, რომ მისი ხანმოკლე არსებობის გამო კამპუსის საოპერაციო ანგარიშები ჯერ კიდევ დეფიციტურია, ეს არ ახდენს მნიშვნელოვან გავლენას ოპერაციებზე, რადგან კამპუსს საჭიროებისამებრ აქვს მარტივად და კარგი პირობებით წვდომა ალტერნატიულ კაპიტალზე სესხის სახით. გარე კაპიტალის საჭიროება წლიდან წლამდე სტაბილურად მცირდება და ამჟამად მხოლოდ 11%-ია.

ბაზრის ანალიზი და მოთხოვნა

თბილისში კერძო სკოლების დიდი და მრავალფეროვანი არჩევანია. „ვალდორფის პედაგოგიკის კამპუსი ლისი“, როგორც ალტერნატიული პედაგოგიკის მიმწოდებელი, იკავებს თავის ნიშას და დაწესებულებები, რომლებიც უშუალო კონკურენტებად მოიაზრებიან, ბევრი არ არის. გარდა ამისა, როგორც არამომგებიან ორგანიზაციას, კამპუსს შეუძლია შეინარჩუნოს სკოლის შედარებით დაბალი გადასახადი. ეს ორი ფაქტორი დადებითად მოქმედებს მოთხოვნაზე.

კამპუსი ახლად დაარსებული დაწესებულებაა და მას აქვს პოტენციალი, გაზარდოს ცნობადობა საზოგადოებაში. ამ ეტაპზე ეს ხორციელდება მხოლოდ პირადი რეკომენდაციებითა და სოციალურ მედიით.

შესაძლებლობების გამოყენება და ზრდის პოტენციალი

„ვალდორფის პედაგოგიკის კამპუსი ლისი“ დაარსდა 2016 წელს და 2021 წლის იანვრიდან ფუნქციონირებს მისი ამჟამინდელი ფორმით - საბავშვო ბაღი, დაწყებითი სკოლა, საგანმანათლებლო წრეები, სემინარი. ეს ნიშნავს, რომ კამპუსი ახლად დაფუძნებული ორგანიზაციაა, რომელსაც ჯერ არ მიუღწევია სტრატეგიულ მიზნებში დასახული განვითარების სრული პოტენციალისთვის.

საბავშვო ბაღი

2020 წლის სექტემბრიდან ფუნქციონირებს სამი ჯგუფი, რომლებიც ამჟამად თითქმის სრულად არის ათვისებული (დაკავებულობის მაჩვენებელი 92%). საბოლოოდ იგეგმება 4-5 სრულად ათვისებული საბავშვო ბაღის ჯგუფი.

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა

კამპუსის ეს ნაწილი გაიხსნა 2021 წლის იანვარში, შეგნებულად მხოლოდ ერთი პირველი კლასით. შემდგომში ყოველწლიურად იხსნებოდა დამატებითი ერთი კლასი, ასე რომ, ამჟამად ოთხი კლასია (დაკავებულობის მაჩვენებელი 64%). ორგანიზაციის სტრატეგიული გეგმის შესაბამისად, ყოველწლიურად მინიმუმ ერთი ახალი კლასი დაემატება სკოლას სრულ ტევადობამდე (12 კლასი).

საგანმანათლებლო წრეები

საგანმანათლებლო წრეები, რომლებიც არსებობს სკოლის პარალელურად, დღის მეორე ნახევარში, ამჟამად მომგებიანია და ეს მიმართულება შეიძლება კიდევ გაფართოვდეს.

სემინარი

ვალდორფის პედაგოგიკაში გადამზადების კურსი ყოველწლიურად ტარდება 2020 წლიდან. ეს კურსი ამჟამად თვითშენარჩუნებულია და უზრუნველყოფს კვალიფიციური აღმზრდელებისა და მასწავლებლების შიდა მოთხოვნის მუდმივად დაკმაყოფილებას.

მომსახურების ხარისხი და მომხმარებელთა კმაყოფილება

„ვალდორფის პედაგოგიკის კამპუს ლისს“ გააჩნია ხარისხის უზრუნველყოფის დიფერენცირებული კონცეფცია, რაც გარანტირებულად უზრუნველყოფს მომსახურების მაღალ ხარისხს. ამ მიმართულებით სააღმზრდელო და სასწავლო პროგრამების ხარისხი ცენტრალური ელემენტია. პერსონალის მუდმივი გადამზადების სისტემა გამართულია როგორც საერთაშორისო, ასევე შიდა დონეზე.

მომსახურების მაღალი ხარისხის თვალსაჩინო მაჩვენებელია მომხმარებელთა უკუკავშირი, მათი კმაყოფილება: რეგულარულად ჩატარებული გამოკითხვები ცხადყოფს, რომ მშობლები ძალიან კმაყოფილნი არიან როგორც სწავლების ხარისხით, ასევე ადმინისტრაციის საკომუნიკაციო პოლიტიკით. აღსანიშნავია ასევე ის, რომ ბავშვის სხვა დაწესებულებაში გადაყვანა ძალზე იშვიათია და მხოლოდ გარე ფაქტორებით არის განპირობებული.

თანამშრომელთა კმაყოფილება

„ვალდორფის პედაგოგიკის კამპუსი ლისის“ თანამშრომლები სამუშაო პირობებს პოზიტიურად აფასებენ. ისინი კომფორტულად გრძნობენ თავს სამუშაო ადგილზე. მათ მიერ დადებითად შეფასებულია გამჭვირვალე და ჰორიზონტალური მენეჯმენტის კულტურა, ორგანიზაციის მიერ შეთავაზებული პროფესიული განვითარების შესაძლებლობები. თანამშრომლები პედაგოგიური საქმიანობის განსაკუთრებულობას უსვამენ ხაზს და დაკისრებული ამოცანების შესრულება მათთვის თვითრეალიზაციის შესაძლებლობად განიხილება. ის, რასაც გააუმჯობესებდნენ, არის ანაზღაურება, რომელიც ცოტა დაბალია საშუალო ეროვნულთან შედარებითა და დროის რესურსის მოთხოვნასთან შეფარდებით. თუმცა, ორგანიზაციის გამჭვირვალე ფინანსური პოლიტიკის გამო ისინი იგებენ, თუ რატომ არის ეს ამჟამად შეუძლებელი. შესაბამისად, თანამშრომელთა ფლუქტუაციის მაჩვენებელი უკიდურესად დაბალია.

პროფესიონალური მენეჯმენტი

გამგეობა, „ვალდორფის პედაგოგიკის კამპუსი ლისის” უმაღლესი ადმინისტრაციული ორგანო, დაკომპლექტებულია სოლიდური ბიზნეს განათლებისა და მენეჯმენტის საკითხებში მრავალწლიანი გამოცდილების მქონე პირებით. ეს უზრუნველყოფს პროფესიონალურ ორგანიზაციულ მენეჯმენტს, რომელიც შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს. გამგეობის წევრები კერძო ფინანსურ ინტერესებზე მაღლა ორგანიზაციის საჭიროებებსა და განვითარებას აყენებენ. ამას ხელს უწყობს კამპუსის იურიდიული ფორმაც, რომელიც არ იძლევა მოგების განაწილების საშუალებას. გამგეობა ინარჩუნებს ჰორიზონტალური და გამჭვირვალე მენეჯმენტის კულტურას, რაც იწვევს თანამშრომლების კმაყოფილებას და ამაღლებს შინაგან მოტივაციას.

გამჭვირვალე ფინანსური მენეჯმენტი

„ვალდორფის პედაგოგიკის კამპუსი ლისის“ ფინანსური პოლიტიკის გატარება ეკისრება გამგეობას, რომელიც ჰორიზონტალური მენეჯმენტის ფარგლებში, თანამშრომლებთან კონსულტაციით შეიმუშავებს ბიუჯეტს და ყურადღებით აკვირდება ხარჯვით ნაწილს. გარდა ამისა, წლიური ბალანსი და მოგება-ზარალის ანგარიში მოწმდება წელიწადში ერთხელ გარე აუდიტის მიერ. სახელფასო პოლიტიკა შეიცავს სამ განსხვავებულ, კარგად განსაზღვრულ ტარიფს და ეცნობება ყველა დასაქმებულს. მშობლები და თანამშრომლები ასევე რეგულარულად ეცნობიან კამპუსის ფინანსურ მდგომარეობას. ორგანიზაციაში განსაზღვრულია სწავლის გადასახადი და ის საჯაროდ გამოქვეყნებულია ვებგვერდზე.

მიმდინარე ფინანსური მდგომარეობა

„ვალდორფის პედაგოგიკის კამპუსი ლისის“ მიზნისა და საქმიანობის შესაბამისად, ხარჯების სტრუქტურაში დომინირებს თანამშრომელთა ანაზღაურება, რაც დაახლოებით 80%-ს შეადგენს. ხელფასის ოდენობა შეიძლება შეფასდეს, როგორც სამართლიანი და შესაბამისი, თუმცა არა მაღალი. გამგეობა ახორციელებს შესყიდვების ეკონომიურ პოლიტიკას, რაც უზრუნველყოფს არსებული - ამჟამად ჯერ კიდევ მწირი - ფინანსური რესურსების მაქსიმალურად ოპტიმალურად გამოყენებას. ეს მიიღწევა მასწავლებლებთან მჭიდრო თანამშრომლობითა და მუდმივი კომუნიკაციით, რაც მინიმუმამდე დაიყვანს დუბლირებას და გადახარჯვას. ვინაიდან კრედიტთან მიმართებაში კამპუსი სარგებლობს შვიდწლიანი საშეღავათო პერიოდით, ბიუჯეტს 2027 წლამდე ჯერ არ აწვება სესხის დაფარვა.

„ვალდორფის პედაგოგიკის კამპუსი ლისის“ მიერ მიღებული შემოსავლის უმეტესი ნაწილი (87,2 %) მოდის გადასახადებიდან (სკოლამდელი აღზრდა, დაწყებითი სკოლა). მიუხედავად იმისა, რომ ტარიფები შედარებით დაბალია (იგულისხმება ვალდორფის სკოლების გადასახადი სხვა ქვეყნებში და ასევე ადგილობრივი კერძო სექტორი), ორგანიზაციული სტრატეგია არ იძლევა ამ გადასახადების მნიშვნელოვნად გაზრდის საშუალებას - კამპუსი არ არის ელიტარული დაწესებულება, ის ღია და ხელმისაწვდომია მოსახლეობის ფართო ნაწილისთვის. სახელმწიფო დახმარება (ვაუჩერი, 1,8%) შემოსავლის მხოლოდ მცირე ნაწილს შეადგენს. მნიშვნელოვან როლს თამაშობს ასევე მშობლების მოხალისეობრივი მუშაობა. ეს იმის დასტურიცაა, რომ ისინი კმაყოფილნი არიან კამპუსის მუშაობით და მზად არიან თავიანთი წვლილი შეიტანონ მისი განვითარებისა და წარმატებისთვის.



დეფიციტის დაფარვის მიზნით, კამპუსს აქვს წვდომა კრედიტზე, რომლის გამოტანა შესაძლებელია საჭიროების შემთხვევაში. ასეთი დამატებითი კაპიტალის მოთხოვნების დინამიკა სტაბილურად იკლებს ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში და ამჟამად მხოლოდ 11%-ია.